საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030198073657520

№ 01-37/ო **31 / იანვარი / 2020 წ.**

ახალი კორონავირუსის შესაძლო შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში განსახორციელებელი შესყიდვების ორგანიზების შესახებ

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტის, 74-ე მუხლის, 75-ე მუხლის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-3 მუხლის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „ო“ „ჟ“ და „ფ“ ქვეპუნქტების, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 იანვრის N169 განკარგულებისა და „ახალი კორონავირუსის შესაძლო შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის მიზნით, გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 24 იანვრის N01-18/ო ბრძანების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში განსახორციელბელი შესყიდვების ორგანიზების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ახალი კორონავირუსის შესაძლო შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში განსახორციელბელი შესყიდვების ორგანიზების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (შემდგომში - სამინისტრო) შეიქმნას კომისია (შემდგომში კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) გიორგი წოწკოლაური - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) გიორგი კაკაურიძე - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

გ) ავთანდილ თალაკვაძე - სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ დირექტორი, კომისიის წევრი;

დ) პაატა იმნაძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში, კომისიის წევრი;

ე) გიორგი ჭავჭავაძე - სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ვ) ნათელა ხმალაძე - სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ზ) კახაბერ ძიმისტარიშვილი - სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

თ) ბექა ჯაყელი - სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ი) თინათინ ხარძიანი - სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

კ) ალექსი ჟვანია - სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

ლ) ეკატერინე ადამია - სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

მ) ხათუნა ზახაშვილი - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

2. კომისიას დაევალოს: განსაზღვროს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში განსახორციელებელი შესყიდვების რაოდენობები, მახასიათებლები და საჭიროებისამებრ, შეითანხმოს მიმწოდებელთა ვინაობა.

3. კომისიის სხდომები გაიმართოს საჭიროებისამებრ.

4. კომისია უფლებამოსილია , თუ მას ესწრება 4 წევრი მაინც. ამასთან, კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებს მინისტრის მოადგილის - გიორგი წოწკოლაურის მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. კომისიის სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს ელექტრონულად, გამოკითხვის წესით. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა გამოკითხვაში მონაწილეობა მიღოს კომისიის არანაკლებ 7 წევრმა მაინც.

6. გადაწყვეტილება მიიღება მონაწილე პირთა უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. კომისიის მუშაობის სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკურ საკითხებს რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ბრძანებით, წყვეტს კომისია.

5. კომისიის სამდივნოდ განისაზღვროს სამინისტროს ადმინისტრაციის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

6. დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში საჭირო ხელშეკრულებების გაფორმება.

7. გასაფორებელ ხელშეკრულებებზე ხელმოწერის უფლება მიენიჭოს მინისტრის მოადგილეს - გიორგი წოწკოლაურს. ამასთან, მინისტრის მოადგილის - გიორგი წოწკოლაურის არყოფნის შემთხვევაში, გასაფორებელ ხელშეკრულებებზე ხელმოწერის უფლება ენიჭება მის მოვალეობის შემსრულებელს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე